

# “ერთია, რასაც ამბობს ხელისუფლება და მეორეა – რა არის სინამდვილე!”

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 21-28 დეკემბერი, № 51, 2008

რა დონეზეა საქართველოში ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი? რატომ არ აღიარებს მთავრობა ამას და დგამს თუ არა რეალურ ნაბიჯებს კრიზისის აღმოსაფხვრელად? რა დრო დასჭირდება კრიზისიდან ამოსვლას? რას შეცვლის ეკონომიკური განვითარების მინისტრის ცვილება? ატერორებდა თუ არა ხელისუფლება ბიზნესს ნოღაიდელის პრემიერობისას? რატომ აკრიტიკებენ ეკონომიკური ექსპერტები ნოღაიდელს პიროვნულად და არა ციფრებით? რა ელოდება ახალი წლის შემდეგ ლარს, საბანკო სექტორსა და საამშენებლო ბიზნესს?

ამ საკითხებზე „ქრონიკა“ ეკონომიკის დამოუკიდებელ ექსპერტს, ლადო პაპავას ესაუბრა:

– ბატონო ლადო, რა დონეზეა საქართველოში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი?

– პრაქტიკულად ეკონომიკური კრიზისის წინა პირობი უკვე გამოიკვეთა, ხოლო ფინანსური კრიზისი უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბებულია. ეკონომიკური კრიზისის წინაპირობებში იგულისხმება, რომ ეკონომიკის ზრდის ტემპები აშკარად იქნება შემცირებული. აშკარაა, რომ მთელი რიგი კომპანიები ვეღარ აგრძელებენ ან კვეცავენ თავიანთ საქმიანობას და აქედან გამომდინარე ადამიანების გარკვეული რაოდენობა რჩება უმუშევარი. ეს უკვე ეკონომიკური კრიზისის დაწყების მანიშნებელია. რაც შეეხება ფინანსურ კრიზისს, ის უკვე კარგა ხანია ჩამოყალიბებულია და აქ ერთი რამაა ცუდი, რომ ხშირ შემთხვევაში ჩვენი ხელისუფლება მხოლოდ და მხოლოდ გლობალურ ფინანსურ კრიზისზე აკეთებს აქცენტს იმის ასახსნელად თუ რატომ არის ფინანსური სირთულეები ქვეყანაში. ეს რა თქმა უნდა მხოლოდ ნაწილობრივია სიმართლე, რადგან ძალიან ბევრ სფეროში ფინანსური კრიზისი საქართველოში ყოველგვარი უცხოური ზეგავლენის გარეშე ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ მთელს მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ ეს

უფრო დაამძიმა, თორემ კრიზისული მომენტები ჩვენს ქვეყანაში უკვე კარგა ხანია შექმნილია.

– თუმცა ჩვენი ხელისუფლება გვამზვიდებს, რომ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი ძალიან ბევრ დარგში საქართველოს არ შეხებიაო...

– ჩვენი ხელისუფლება იმასაც ამბობს რუსეთი დავამარცხეთ, ბეჭებზე დავდეთ და გამარჯვებულები ვართო. ერთია რასაც ამბობს ხელისუფლება და მეორეა რა არის სინამდვილე.

– იქნებ მთავრობა გარკვეულია ამ ყველაფერში. დამამზვიდებელ განცხადებებსაც იმიტომ აკეთებს პანიკა რომ არ შექმნას და ამ განცხადებების მიღმა დგამს რაიმე ნაბიჯებს კრიზისის დასაძლევად. თქვენ, როგორც ექსპერტი ხედავთ რაიმე ასეთ, რეალურ ნაბიჯებს?

– თუ ვლაპარაკობთ მთავრობის ნაბიჯებზე, უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვათ თავად მთავრობა რა განცხადებებს აკეთებს. მთავრობა აპელირებას აკეთებს ორ დოკუმენტზე, რომელთაგანაც ერთის სათაური არის 50-თვიანი პროგრამა და მეორეს სათაურია 18-თვიანი პროგრამა. ორივე ამ დოკუმენტზე ქმნიან აზრს, რომ მათში უკვე არის გათვალისწინებული კრიზისის დაძლევის მომენტები, მაგრამ სამწუხარო ფაქტია ის, რომ არც 50-თვიანი და არც 18-თვიანი პროგრამა არავის თვალთ არ უნახია. უფრო მეტიც, არც მთავრობას უცდია სადმე, თუნდაც ინტერნეტში გამოეკიდა ეს პროგრამები, რათა ისინი ჩვენთვისაც ხელმისაწვდომი იყოს. აქედან გამომდინარე შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ მთავრობა ვირტუალურ რეჟიმში აბოლებს საზოგადოებას, რომ თითქოს რაღაც პროგრამები არის და ამ პროგრამით ხელმძღვანლობს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება არავითარი რეალური პროგრამა არ არსებობს.

– ანუ, უმოქმედო და მხოლოდ მოლაპარაკე მთავრობა გვყავს?

– სრულ უმოქმედობაში მთავრობას ნამდვილად ვერ დავადანაშაულებ. ის ცდლობს რაღაცის გაკეთებას. მაგალითად დევნილი მოსახლეობისთვის აშენდა სასოფლო ტიპის დასახლებები. მეორე საკითხია რამდენად ხარისხიანად და გააზრებულად გაკეთდა ეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გაკეთდა. ასევე გაცხადდა, რომ გაგრძელდება იაფი სესხის პროგრამა, თუმცა ამასთან დაკავშირებით მე ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება მაქვს. იაფი სესხი რა თქმა უნდა კარგია, მაგრამ ამას მთავრობა არ უნდა გასცემდეს, რადგანაც მთავრობა არ შეიძლება იყოს დამაკრედიტებელი ინსტიტუტი. ჩვენ ვხედავთ, რომ მინისტრები დარბიან სხვადასხვა რეგიონებში და აჩვენებენ, რომ სადღაც

ახალი საწარმო იხსნება და ა.შ, მაგრამ ის, რომ მთლიანობაში მთავრობას გააზრებული ჰქონდეს რა საით უნდა წაიყვანოს, ჩემი აზრით ასეთი რამ არ არსებობს.

**– სულ ახლახანს გაუღერდა პარლამენტარ გიორგი გოგუაძის ეკონომიკური პროგრამაც, რომელმაც თითქოს კრიზისის დაძლევას უნდა შეუწყოს ხელი...**

– აქაც ძალიან საინტერესო მდგომარეობაა. გიორგი გოგუაძემ მართლაც გააუღერა რაღაც ეკონომიკური გეგმა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. ანუ, პრაქტიკულად ეს იმ სტილის გაგრძელებაა, რა სტილითაც მოქმედებს ჩვენი მთავრობა – კარგად გაპიარებული და გაუღერებული არარსებული დოკუმენტი... სამწუხაროდ ყველაფერი აწყობილია პიარზე.

**– თქვენი პროგნოზით, თუნდაც კარგი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება ამ კრიზისიდან ამოსვლას?**

– ამის თქმა ნამდვილად გამიჭირდება, მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა. ძალიან ბევრი რამ ჩვენს ეკონომიკაში და მისი მართვის სფეროში, ანუ სახელმწიფო ინსტიტუტებში პრაქტიკულად თავიდან შესაქმნელია. კონკრეტულად, მისაღებია ახალი კანონი ეროვნული ბანკის შესახებ. უნდა გვქონდეს ერთიანი, არადანაწევრებული ისეთი ძლიერი ინსტიტუტი რომელზედაც ვერავითარი ზეგავლენა ვერ ექნება ვერც მთავრობას, ვერც პარლამენტს და ვერც ვერანაერ პოლიტიკურ პარტიას. ეს არის ყველაზე მთავარი, განსაკუთრებით გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკის სამინისტროზე, რომელიც ქვეყანას როგორც ასეთი არ გააჩნია. ის, რაც ჩვენ დღეს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს სახელით ვაქვს მხოლოდ ნომინალში გაუღერებული ორგანიზაციაა, რომელიც ვერანაერად ვერ ასრულებს ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციას. თუნდაც იმიტომ, რომ ის არანაერი ეკონომიკური დოკუმენტების მომამზადებელი ორგანო არ გახლავთ. ის მხოლოდ პრივატიზაციას ახორციელებს. ეკონომიკის სამინისტროს ნგრევა შევარდნაძის პერიოდიდან დაიწყო და დაჩქარებული ტემპებით გაგრძელდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. როდესაც კახა ბენდუქიძე დაინიშნა ეკონომიკის მინისტრად მან თქვა კიდევ, რომ ყველაფერს გავაკეთებ რათა ეს სამინისტრო აღარ იყოს და ფაქტობრივად მიაღწია კიდევ მიზანს. თავიდანაა შესაქმნელი კანონი ანტიმონოპოლიური სამსახურის შესახებ. ცალკე სტრუქტურად უნდა

ჩამოყალიბდეს სტატისტიკის დეპარტამენტი და ის არ უნდა იყოს მთავრობაზე დაქვემდებარებული და ა.შ.

**– თუ თავად ეკონომიკის სამინისტროს არ გააჩნია ფუნქციები, მინისტრის ცვლილება რაიმე შედეგს მოგვიტანს?**

– ბატონ ლაშა ჟვანიას აგრესიული ხასიათის გამოსვლები გაცემის მეტს არაფერს იწვევს. თუმცა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ვინ იქნება დღეს ამ სამინისტროს ხელმძღვანელი – არველაძე, შარაშიძე თუ ჟვანია, რადგან მთავარია სამინისტროს ჰქონდეს ის ფუნქციონალური დატვირთვა, რომელიც აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და მის კოორდინაციაში. სანამ ეს ფუნქცია სამინისტროს არ ექნება, მანამდე არანაირად არა აქვს აზრი მინისტრის შეცვლას. ის რომ გვაქვს არაპროფესიონალი მინისტრების ფეიქვერკი, ეს უფრო მეტად ამძიმებს სიტუაციას, მაგრამ მინისტრი პროფესიონალიც რომ იყოს, ის მაინც ვერაფერს გააკეთებს. ეს ეხება არა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს, არამედ ყველა ეკონომიკურ და ფინანსურ ინსტიტუტს. თუ ამ ინსტიტუტების ფუნქციები არ შეიცვალა, პერსონების ცვლილებას არანაერი აზრი არა აქვს. ყველა მათგანს აქვს წინასწარ განსაზღვრული “ჩარჩო”, რომლიდანაც გასვლა არ შეუძლიათ. ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების კონცეპტუალური მიდგომები უცვლელია. რეალურად გრძელდება მხოლოდ პიარი. მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი სწორედ პიარია.

**– პიართან ერთად ეკონომიკური ტერორიც არ უნდა დაგვავიწყდეს ბატონო ლადო. ზურაბ ნოღაიდელმა აღიარა კიდევ რომ ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური ტერორი გრძელდება. ყოფილი პრემიერის მიერ ასეთი განცხადების გაკეთება ალბათ იმის აღიარებაცაა, რომ ტერორი ადრეც იყო...**

– რა თქმა უნდა. ჩვენ ისედაც კარგად ვიცოდით და ვიცით, რომ ეკონომიკური ტერორი ახალი დაწყებული არ არის. ეს იყო გაგრძელება და გადაცდომები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებისას. დიდი ბოდიში, მაგრამ თავად ზურაბ ნოღაიდელის მინისტრობის თუ პრემიერ-მინისტრობის დროსაც იყო ბიზნესის ტერორის საკმაოდ ცნობილი ფაქტები. რაღაც მე არ მახსოვს ამის შესახებ მას გაეკეთებინა მწვავე განცხადება. უფრო მეტიც, მისი მხრიდან დუმილი სულ ცოტა ამ ტერორის მხარდაჭერის მანიშნებელი გახლდათ. ნოღაიდელს რომ პოლიტიკური მოღვაწეობა არ დაეწყო საერთოდ ვის გაახსენდებოდა საქართველოში? უფრო მეტიც, როდესაც 2007 წლის ნოემბერში ოპოზიცია ითხოვდა ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო

არჩვენებს ზურაბ ნოღაიდელი მაშინაც არავის გახსენებია. ამიტომაც იყო ყველაზე მოულოდნელი, როდესაც სააკაშვილმა სწორედ ნოღაიდელი შესწირა მსხვერპლად ნოემბრის მოვლენებს. ამის შემდეგ მას რომ მხოლოდ თავისი ბიზნესისთვის მიეხედა, არც არავის გაახსენდებოდა მისი პიროვნება. ახლა, როდესაც არა მხოლოდ მოვიდა პოლიტიკაში, არამედ გარკვეული ამბიციებიც აქვს, რა თქმა უნდა ეს აღიზიანებს საზოგადოებას. თუნდაც იმიტომ, რომ ბიზნესის ტერორის ერთ-ერთი ავტორი და შემქმნელი თავადვე იყო.

**– სხვათა შორის ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა ექსპერტები მხოლოდ ზედაპირულად, პიროვნულად მაკრიტიკებენ და თუ რამე რეალური აქვთ სათქმელი ციფრებით მესაუბრონო...**

– რომელი ციფრებით ვესაუბრო ზურაბ ნოღაიდელს? იმ ციფრებით, რომელსაც მისი წყალობით ხელისუფლების მიერ დამონებული სტატისტიკის დეპარტამენტი გვაწვდის? მისი მხრიდან სტატისტიკის გამოყენებაზე საუბარი, ვფიქრობ რომ უბრალოდ უზნეობაა. სტატისტიკის დანგრევა დაიწყო ნოღაიდელის წინამორბედმა და დაავირობინა თავად ნოღაიდელმა. ის, რომ ექსპერტები ვერ ხელმძღვანელობენ სტატისტიკური მონაცემებით, სწორედ მისი „დამსახურებაა“. მან არა მხოლოდ გაანადგურა სტატისტიკის დეპარტამენტი, არამედ ის აქცია ყურმოჭრილ მონად. თუნდაც გავიხსენოთ 2006 წლის ზაფხული, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა გამოაქვეყნა 14,5%-იანი წლიური ინფლაციის მაჩვენებელი და ამას მოჰყვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან კრიტიკა. მაშინ პრემიერ-მინისტრმა ნოღაიდელმა სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი ბროლაძე შეცვალა ახალი უფროსით, სირაძისთ, რომელიც გახლდათ ნოღაიდელთან ძალიან დაახლოებული პიროვნება. სწორედ ამის შემდეგ სტატისტიკამ მხარი აუბა მთავრობის თამაშს და დაიწყო ინფლაციის მაჩვენებლის ხელოვნურად შემცირება. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, რომ სტატისტიკის დანგრევაში ლომის წვლილი სწორედ ნოღაიდელს მიუძღვის. ახლა მის მიერვე დამახიჯებულ ციფრებზე აპელირება, რომ კარგად ვმუშაობდით, მე მგონი ამორალურია...

**– ბატონო ლადო, ლარის მოსალოდნელი დეფლაციის საკითხზე. დოლარის კურსის შენარჩუნება ეროვნულ ბანკს ძალიან ძვირი უჯდება. ცნობილია, რომ საახალწლოდ დოლარის კურსი გაიზრდება. თქვენი აზრით, ახალი წლის შემდეგ ჩვეულებისამებრ ჩამოიწვეს კურსი თუ დარჩება იმ ნიშნულზე, რომელიც დაფიქსირდება წინასახალწლოდ?**

– ამის პროგნოზირება ძალიან ძნელია. ფაქტია, რომ ლარის კურსი არ ასახავს არსებულ რეალობას და ქვეყანაში დოლარისა და ლარის თანაფარდობის გათვალისწინებით აბსოლუტურად სხვა კურსი უნდა გვქონდეს. მთავარია ლარის დეველვაცია მოხდეს თანდათანობით და არა ნახტომისებურად, როგორც ეს ნოემბერში გააკეთეს.

**– ახალი წლის შემდეგ რეალურად რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ საბანკო და საამშენებლო სექტორში?**

– რაც შეეხება საბანკო სფეროს, გარკვეული სირთულეები არის, რადგან გაზაფხულზე უწევს ჩვენს ბანკებს ნახევარ მილიარდ დოლარამდე საგარეო ვალის გადახდა. თუმცა ამავე პერიოდში 1 მილიარდი დოლარი საერთაშორისო დახმარებაა გათვალისწინებული სწორედ საბანკო სფეროსათვის. ასე, რომ საბანკო სექტორში კრიზისის საფრთხე ქვეყანას ობიექტურად არა აქვს, მაგრამ გარკვეული სირთულეები კვლავაც გაგრძელდება. რაც შეეხება საამშენებლო ბიზნესს, აქ უმძიმესი მდგომარეობაა. ნაბეჭდი უკვე არ გააგრძელებენ იმ გაუაზრებელ საკრედიტო პოლიტიკას, რომელსაც საამშენებლო სექტორში ახორციელებდნენ ბოლო წლების განმავლობაში.

**– ბინების ფასები მკვეთრად, ანუ ნახტომისებურად შემცირდება თუ ეტაპობრივად?**

– აქაც პროგნოზი შეუძლებელია, რადგან ჩვენი საზოგადოება არ არის საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირებული მენტალობის თვალსაზრისით. სხვა შემთხვევაში უძრავი ქონების ბაზარზე ფასების კლება უკვე თვალშესამჩნევი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე არ არის გამორიცხული ბინებზე ფასების კლება ნახტომისებურადაც კი მოხდეს.

**დიმიტრი ტიკარაძე**